საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

MES 0 23 0000010009

10/01/2023

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 29 დეკემბრის N1676297 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის ია ჯიმშიტაშვილის (09/01/2023წ; N4749) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შევიდეს ცვლილება, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 29 დეკემბრის N1676297 ბრძანებაში კერძოდ, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის 2022-2023 სასწავლო წლის ზამთრის არდადეგები, ნაცვლად 2023 წლის 27 თებერვლის დასრულდეს 2023 წლის 25 თებერვალს;
2. წინამდებარე ბრძანება და უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 29 დეკემბრის N1676297 ბრძანება წარმოადგენს უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 18 აგვისტოს N918968 ბრძანების განუყოფელ ნაწილს;
3. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. კახაშვილს) წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

4.დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ. ბეჟანიშვილი) ბრძანების გადაგზავნა უნივერსიტეტის სამსახურებისათვის და ფაკულტეტებისათვის;
5. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანების დანარჩენი პუნქტები დარჩეს უცვლელად;
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა